# აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

## საინფორმაციო ბიულეტენი N38

**სექტემბერი, 2023**

## სოფლის ისტორიები

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა აჭარაში წყალმომარაგების და წყალარინების თანამედროვე სისტემებს და მიდგომებს ნერგავს. პროგრამისთვის მნიშვნელოვანია წარმოაჩინოს აჭარის რეგიონის ისტორია, სილამაზე და მაცხოვრებლების მისწრაფებები უკეთესი მომავლისკენ.

სს „აჭარის წყლის ალიანსს“ სურვილი აქვს წინა პლანზე წამოსწიოს და ფართო აუდიტორიას გააცნოს პროგრამის სამიზნე სოფლების ისტორიები. სოფლის ისტორიები საინტერესო ვიდეოების სერიის სახით გაცოცხლდება და მოგვითხრობს ისტორიებს სარეაბილიტაციო ზონაში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ.

ვიდეოების სერიაში, თქვენ გაიცნობთ პიროვნებას, ვინც საკუთარი ინიციატივით, დააარსა ისეთი ღირსშესანიშნაობა როგორიცაა სოფელ კვიახიძეების  ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, შუახევის მუნიციპალიტეტში. მუზეუმისთვის ექსპონატები მოსახლეობისგან, კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით შეგროვდა, რათა შექმნილიყო ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სოფლის მემკვიდრეობის ნახვა.

ვიდეოები სოფლის ისტორიების შესახებ, შესაძლებლობას მოგცემთ სხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ერთად, საკუთარი თვალით იხილოთ შუახევში ვარჯანაულის მეჩეთის ცოცხალი და ფერადი მოზაიკა.

ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის საგანძურის გარდა, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ ნახოთ თუ როგორ ცდილობს მოსახლეობა გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო, სხვადასხვა პროექტების მეშვეობით. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ერთი ქალბატონის ისტორია რომელიც შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილიდანაა და რომელმაც, შექმნა თიხის მიკრო საწარმო სოფელში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქალთა ოთახის მიერ ინიცირებულ პროექტში, სადაც გაიმარჯვა. მან მოახერხა მოეპოვებინა მცირე გრანტი, წამოწყების ფინანსური უზრუნველყოფისთვის. ასევე, სოფელ ვაიოში (ქედის მუნიციპალიტეტი) ერთ-ერთმა მეღვინემ, რომელიც წლებია ღვინოს აწარმოებს მნიშვნელოვანი დაფინანსება მიიღო ევროკავშირის გრანტის მეშვეობით.

ეს ისტორიები ასევე მოგითხრობთ იმ ხელშესახები ცვლილებების შესახებ, რასაც აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა განახორციელებს რეგიონისთვის. სოფლის ისტორიების ვიდეო კოლექციის ნახვა, შესაძლებელი იქნება სს „აჭარის წყლის ალიანსის“ სოციალური მედია არხების მეშვეობით.








**ინფორმაცია პროგრამის შესახებ**

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.
პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს.
პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს “აჭარის წყლის ალიანსი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

ქ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge

# AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

## NEWSLETTER N38

September, 2023

## Village Stories

The Ajara Rural Water and Wastewater Treatment Program is introducing modern approaches and cutting-edge water and wastewater systems. Moreover, the program also highlights the importance of the region's history, its natural beauty, and the aspirations of its inhabitants for a better future.

The Ajara Water Alliance (AWA) JSC is at the forefront of an inspiring initiative to document and share the captivating stories of the Program's target villages. These Village Stories will be brought to life through a series of captivating videos that delve into the cultural heritage monuments nestled within the rehabilitation area. They will shed light on the remarkable journeys of passionate individuals, including those who took it upon themselves to establish landmarks such as the historical and ethnographical museum of Kviakhidzeebi in Shuakhevi, where exhibits were collected, house by house, to create a tribute to the area's heritage.

These Village Story videos will provide an opportunity to witness, amongst others, the vibrant and colorful mosaic of the Varjanauli mosque in Shuakhevi.

Beyond the historical and cultural treasures, you will witness the proactive efforts of the residents of Rural Ajara are striving to improve their livelihoods through various projects. Take, for example, the story of a determined woman from Brili in Shuakhevi who founded a micro-enterprise specializing in clay products. She actively participated in a project initiated by the Women's Club and emerged victorious, securing a small grant to support her venture. Another village representative from Vaio, who has been producing wine for years, received a grant from the European Union to support his winery.

These stories will also illustrate the impact and tangible changes that the Ajara Rural Water Supply and Wastewater Program brings to the region. This collection of Village Stories will be shared widely through the Ajara Water Alliance JSC's social media channels.








### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.
The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.
"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.
The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge